3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურა

3.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელი ორგანოები

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელი ორგანოები არიან:

ა) მრჩეველთა საბჭო;

ბ) დირექტორი.

3.2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულები

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულებია:

3.2.1. ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახური;

3.2.2. ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური;

3.2.3. ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების სამსახური;

3.2.4. ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების სამსახური;

3.2.5.ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური;

3.2.6. საარქივო სამსახური;

3.2.7.შრომის უსაფრთხოების სამსახური;

3.2.8.საფინანსო სამსახური;

3.2.9.ადმინისტრაცია;

3.2.10.მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახური;

3.2.11. შიდა აუდიტის სამსახური;

3.3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები არიან:

3.3.1.დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახურის უფროსი (პროგრამების მენეჯერი). მის საკურატორო სფეროშია, ასევე, საარქივო სამსახური;

3.3.2.დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის უფროსი (მთავარი ინჟინერი). მის საკურატორო სფეროშია, ასევე, შრომის უსაფრთხოების სამსახური;

3.3.3.დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რედაქტორი);

3.3.4.დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რეჟისორი);

3.3.5.დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი (მთავარი პროდიუსერი);

3.3.6. საარქივო სამსახურის უფროსი;

3.3.7.შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

3.3.8.საფინანსო სამსახურის უფროსი;

3.3.9. ადმინისტრაციის უფროსი;

3.3.10.მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსი;

3.3.11. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

3.4. დირექტორის პირველი მოადგილის სტატუსი და, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის პრინციპი

დირექტორის პირველი მოადგილის სტატუსი ენიჭება დირექტორის ხუთი მოადგილიდან ერთ-ერთს, დირექტორის შესაბამისი ბრძანებით, რომლის მოქმედების ვადაც იწურება ყოველი წლის 31 დეკემბერს. დირექტორის პირველი მოადგილე, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, ახორციელებს დირექტორის უფლებამოსილებას. დირექტორისა და დირექტორის პირველი მოადგილის, ასევე, სხვა მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის უფლებამოსილებას ახორციელებს ერთ-ერთი მოადგილე, დებულების 3.3 პუნქტის 3.3.1, 3.3.2, 3.3.3, 3.3.4 და 3.3.5 ქვეპუნქტების რიგითობის შესაბამისად.

3.5. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საგანი

3.5.1.ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახურის საქმიანობის საგანია, სატელევიზიო და რადიო არხების, ასევე,, ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების მიზნით, პროგრამული პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად, ახალი პროექტების მომზადებისა და არსებული პროგრამების გაუმჯობესების დაგეგმვა და ხელშეწყობა, ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო ბადის შემუშავება და მართვა, საეთერო პროგრამების მიღება-ჩაბარება, ყოველდღიური პროგრამული განრიგის შემუშავება და მართვა, გარეწარმოების ტელერადიო პროდუქციისა და პროგრამების მოზიდვა, ,,აჭარის ტელევიზიისა და რადიოს", ასევე, ცალ-ცალკე ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პრომოუშენი, ბრენდირება, სატელევიზიო, რადიო და ვებსამაუწყებლო პროგრამების ანონსირება, დონორებთან, სპონსორებთან, რეკლამის დამკვეთებთან და

სარეკლამო სააგენტოებთან ურთიერთობა, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, ტრენინგების დაგეგმვა და მოწყობა, სოციალური კვლევის შედეგებისა და სარეიტინგო მონაცემების გადამუშავება და ანალიზი, აუდიტორიის მოზიდვისა და ლოიალობის ამაღლების მიზნით, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

3.5.2.ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის საქმიანობის საგანია, უზრუნველყოს მაუწყებლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შეუფერხებელი მაუწყებლობა, მოქმედი და საცდელი სატელევიზიო, რადიო და ვებსამაუწყებლო პროგრამების შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით მომსახურება, სტაციონალური და მოძრავი სატელევიზიო სადგურების, სატელევიზიო და რადიო სტუდიების, სააპარატოებისა და ცენტრალური სააპარატოს გამართული მუშაობა, რადიოს გადამცემი სადგურებისა და ანძების მომსახურება,სატელევიზიო და რადიოსიგნალების გავრცელება, მაუწყებლისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად, ტექნიკური საშუალებების სწორი ექსპლუატაცია, ტექნიკური ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა, პრიორიტეტებთან შესაბამისობაში, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

3.5.3. ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების სამსახურის საქმიანობის საგანს განეკუთვნება, პროგრამული პრიორიტეტების დაცვით, აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით და სატელევიზიო, რადიო და ვებსამაუწყებლო პროგრამული ბადის შესაბამისად, ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სხვა პროგრამებისა და ვებკონტენტის მომზადება, სატელევიზიო, რადიოარხსა და ვებპლატფორმაზე განთავსების მიზნით.

3.5.4. ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების სამსახურის საქმიანობის საგანს განეკუთვნება, პროგრამული პრიორიტეტების დაცვით, აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით, სატელევიზიო, რადიო და ვებსამაუწყებლო პროგრამული ბადის შესაბამისად, საავტორო, შემოქმედებითი, მათ შორის, სტუდიური გადაცემების, ფილმების, სხვადასხვა ჟანრის პროგრამისა და ვებკონტენტის მომზადება, სატელევიზიო და რადიოარხსა და ვებპლატფორმაზე განთავსების მიზნით.

3.5.5.ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის საქმიანობის საგანია, პროგრამული პრიორიტეტების მოთხოვნების დაცვით, მოქმედი პროგრამების სატელევიზიო და რადიო არხებსა და ვებპლატფორმაზე განთავსება, სამაუწყებლო ბადისა და ყოველდღიური პროგრამული განრიგის შესაბამისად, მრავალკამერიანი გადაღებების განხორციელება, სტუდიებსა და იმპროვიზებულ სტუდიებში პირდაპირი ეთერის, ან ჩაწერის რეჟიმის გადაცემების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, სტაციონალური და მოძრავი სატელევიზიო სადგურების, ტელევიზიისა და რადიოს სააპარატოების, ცენტრალური სააპარატოს საქმიანობის წარმართვა, კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულების მასობრივი ღონისძიებების გადაღების დაგეგმვა, განხორციელება და სატელევიზიო ეთერსა და ვებპლატფორმაზე განთავსება, მაუწყებლისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად.

3.5.6. საარქივო სამსახური უზრუნველყოფს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების, რედაქციების, შემოქმედებითი ჯგუფების მიერ მომზადებული სატელევიზიო, რადიო და ვებსამაუწყებლო პროგრამების, ეთერში გადაცემული აუდიოვიზუალური და აუდიომასალების ყოველდღიურ აღწერას, სისტემატიზაციასა და შენახვას, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ახალი პროგრამების მომზადებისთვის საჭირო საარქივო მასალების

მიწოდებას შემოქმედებითი ჯგუფების, ცალკეული პროდიუსერების, ავტორებისა და რეჟისორებისთვის, შესაბამისი ნებართვით, საარქივო მასალების გაცემას მესამე პირებზე. პერიოდულად გეგმავს და ახორციელებს ძველი აუდიოვიზუალური და აუდიომასალების ციფრულ მატარებელზე გადატანასა და ხელახალ აღრიცხვას.

3.5.7. შრომის უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს აჭარის ტელევიზიასა და რადიოში დასაქმებულთა ინფორმირებას შრომის უსაფრთხოების წესების შესახებ. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებების გაცნობის მიზნით, ახორციელებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შენობებში გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობაზე კონტროლს, ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალური სერვისების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების, საწარმოო ტრავმების არსებობის შემთხვევაში, პირველადი საშუალებების ეფექტურობის, შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად, მთლიანი საწარმოო პროცესის გამართულობის შემოწმებას, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ახდენს მისი დაუყოვნებლივი აღმოფხვრისთვის საჭირო რეაგირებას. თანამშრომლებისთვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მესამე პირებისთვის ატარებს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ტრენინგებს და ინსტრუქტაჟს.

3.5.8. საფინანსო სამსახურის საქმიანობის საგანს წარმოადგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსური რესურსების ეფექტური მართვა და მდგრადობის ანალიზი, ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ბუღალტრული ანგარიშგების საფუძველზე, ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური და ოპერატიული ანალიზი, მაუწყებელში ფინანსური ეფექტიანობის პოლიტიკისა და საფინანსო პროცედურების წესების შემუშავება და განახლება, კომპეტენციის ფარგლებში, სატენდერო პროცედურების წარმართვა, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვა, საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების პერიოდული

ანალიზი, ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი. უზრუნველყოფს საბიუჯეტო ხარჯვის კანონიერებაზე კონტროლს, საფინანსო-საბიუჯეტო პროცესების ხარვეზების ანალიზს და, მათი გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციების შემუშავებასა და მათ რეალიზაციას.

3.5.9.ადმინისტრაციის საქმიანობის საგანს წარმოადგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სახელით დასადები ხელშეკრულებების, მემორანდუმების, შეთანხმებების, პროექტების სამართლებრივი მომზადება და ექსპერტიზა, სამართლებრივი რეკომენდაციების შემუშავება, სამართლებრივ დავებზე აჭარის ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, სტრუქტურული ერთეულებისთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა, განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ელექტრონული ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების განხორციელება, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, საჯარო-სამართლებრივი და შრომითი ურთირთობების განხორციელებისას, ადამიანის უფლებების, თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემის პრინციპების უზრუნველყოფა, საქმისწარმოების წესების შესაბამისად, კორესპონდენციების დამუშავებისა და მოძრაობის უზრუნველყოფა, თანამშრომლების შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მართვა და სათანადო დოკუმენტური გაფორმება, თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების სისტემის უზრუნველყოფა, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, თანამშრომლების მუდმივი განვითარება, მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნით, მათი მოტივაციისა და კმაყოფილების ზრდა, თანამედროვე პრაქტიკის შესაბამისად შერჩევის, შეფასებისა და მოტივაციის სისტემების შექმნა/განვითარება.

3.5.10.მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის საქმიანობის საგანია სატელევიზიო და რადიოარხის, ვებმაუწყებლობის, ყველა მოქმედი და საცდელი პროგრამის, ასევე, ახალი პროექტების მომზადების, ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო ბადის, ვებმაუწყებლობის დაგეგმვისა და მართვის მონიტორინგი, პროგრამულ პრიორიტეტებთან და საყოველთაოდ აღიარებულ პროფესიულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, სატელევიზიო, რადიო და ვებსამაუწყებლო კონტენტის ხარისხის კონტროლი, პროგრამული პრიორიტეტებისა და პროფესიული სტანდარტების ყველა შესაძლო დარღვევის გამოვლენა, მათზე ანგარიშების და დასკვნების მომზადება, ასევე, პრევენციისა და აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად, რეკომენდაციების მომზადება.

3.5.11. შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის საგანს წარმოადგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს წინაშე არსებული რისკების, მართვის ხარისხის შეფასება, ორგანიზაციის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, რეკომედაციების შემუშავება, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების შეფასება, დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება, ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სისტემაში ხარვეზების გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობითა და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

3.6.სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე, რედაქციული დამოუკიდებლობა

3.6.1.ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახური, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური, საფინანსო სამსახური და ადმინისტრაცია, ასევე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების სამსახური და ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების სამსახური, გარდა რედაქციული მოქმედებებისა, ექვემდებარებიან დირექტორს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე. ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების სამსახური და ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების სამსახური წარმოადგენენ სრული სარედაქციო დამოუკიდებლობით აღჭურვილ სტრუქტურულ ერთეულებს და რედაქციული მოქმედებების დროს არ ექვემდებარებიან ზემდგომს.

3.6.2. საარქივო სამსახური და შრომის უსაფრთხოების სამსახური ექვემდებარებიან დირექტორსა და ერთ-ერთ (შესაბამის) მოადგილეს, საკურატორო სფეროს მიხედვით, და ანგარიშვალდებულნი არიან მათ წინაშე.

3.6.3. მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახური და შიდა აუდიტის სამსახური ექვემდებარებიან დირექტორსა და მრჩეველთა საბჭოს და ანგარიშვალდებულნი არიან მათ წინაშე.

3.7. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს კოლეგიური ორგანოები

აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მოქმედებს კოლეგიური ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა. ეს ორგანოებია:

3.7.1. მმართველი საბჭო;

3.7.2. სარედაქციო საბჭო;

3.7.3. ტექნიკური განვითარების საბჭო:

3.7.4. აუდიტორიის განვითარების საბჭო.

3.8. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს კოლეგიური ორგანოების შემადგენლობა

3.8.1. მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები არიან:

- დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

-დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახურის უფროსი (პროგრამების მენეჯერი);

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის უფროსი (მთავარი ინჟინერი);

-დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რედაქტორი);

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რეჟისორი);

-დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი (მთავარი პროდიუსერი).

მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა დირექტორის პირველი მოადგილე.

3.8.2. სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები არიან:

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რედაქტორი), საბჭოს თავმჯდომარე;

- ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების რედაქტორები;

- ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების რედაქტორები;

სარედაქციო საბჭო თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან განსაზღვრული ვადით, რომელიც იწურება ყოველი წლის 31 დეკემბერს.

3.8.3. ტექნიკური განვითარების საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები არიან:

- დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის უფროსი (მთავარი ინჟინერი), საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახურის უფროსი (პროგრამების მენეჯერი);

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რედაქტორი);

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რეჟისორი);

-დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი (მთავარი პროდიუსერი);

- საფინანსო სამსახურის უფროსი;

- ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის არაუმეტეს ორი თანამშრომელი, რომლებიც საბჭოს წევრად ინიშნებიან დირექტორის მოადგილის, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის უფროსის (მთავარი ინჟინრის) წარდგენითა და დირექტორის შესაბამისი ბრძანებით, რომლის მოქმედების ვადაც იწურება ყოველი წლის 31 დეკემბერს;

- ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის არაუმეტეს ერთი თანამშრომელი, რომელიც საბჭოს წევრად ინიშნება დირექტორის მოადგილის, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსის (მთავარი პროდიუსერის) წარდგენითა და დირექტორის შესაბამისი ბრძანებით, რომლის მოქმედების ვადაც იწურება ყოველი წლის 31 დეკემბერს.

3.8.4. აუდიტორიის განვითარების საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები არიან:

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახურის უფროსი (პროგრამების მენეჯერი), საბჭოს თავმჯდომარე;

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის შემოქმედებითი პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რეჟისორი), საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების სამსახურის უფროსი (მთავარი რედაქტორი);

- დირექტორის მოადგილე, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი (მთავარი პროდიუსერი);

- ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახურის არაუმეტეს ხუთი თანამშრომელი, რომლებიც საბჭოს წევრად ინიშნებიან დირექტორის მოადგილის, ტელევიზიის, რადიოსა და ვებმაუწყებლობის პროგრამული განვითარების სამსახურის უფროსის (პროგრამების მენეჯერის) წარდგენითა და დირექტორის შესაბამისი ბრძანებით, რომლის მოქმედების ვადაც იწურება ყოველი წლის 31 დეკემბერს;

3.9. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს კოლეგიური ორგანოების საქმიანობის საგანი

3.9.1. მმართველი საბჭო, მაუწყებლის წინაშე არსებული ამოცანების უკეთ დაძლევის მიზნით, უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაანალიზებასა და გადაწყვეტილების ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებას, ზრუნავს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულად მუშაობისთვის, განსაზღვრავს ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების ეფექტური განკარგვის ხერხებს, განიხილავს სამუშაო პროცესში გამოვლენილ ყველა ხარვეზსა და განსაზღვრავს მისი აღმოფხვრისთვის აუცილებელ მოქმედებებს, პრიორიტეტებთან შესაბამისობაში ადგენს ტელევიზიისა და რადიოს პროგრამული განვითარების, ასევე, მასთან დაკავშირებული ტექნიკური, ფინანსური, სამართლებრივი და სხვა საქმიანობის განხორციელების გზებს, განიხილავს ორგანიზაციის მესამე პირებთან ურთიერთობის საკითხებს,რეკომენდაციებს აწვდის დირექტორს. მონიტორინგის სამსახურის უფროსი და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ და მმართველი საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შეიტანონ მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. მმართველი საბჭოს სხდომა იმართება არანაკლებ თვეში ორჯერ. მმართველი საბჭო უფლებამოსილია, განსახილველი

საკითხის შესაბამისად, სხდომაზე მიიწვიოს მაუწყებლის ნებისმიერი თანამშრომელი.

3.9.2. სარედაქციო საბჭო განსაზღვრავს და წარმართავს სატელევიზიო, რადიო და ვებსამაუწყებლო პროგრამების სარედაქციო პოლიტიკას, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონისა და პროგრამული პრიორიტეტების მოთხოვნების შესაბამისად, გეგმავს და ახორციელებს პროგრამებზე მომუშავე პერსონალისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ ღონისძიებებს, მსჯელობს სარედაქციო მუშაობის ხარვეზებზე და განსაზღვრავს მისი აღმოფხვრისთვის აუცილებელ მოქმედებებს. სარედაქციო საბჭოს სხდომა იმართება არანაკლებ თვეში ერთხელ. სარედაქციო საბჭო უფლებამოსილია, განსახილველი საკითხის შესაბამისად, სხდომაზე მიიწვიოს მაუწყებლის დირექტორი, ასევე, ნებისმიერი თანამშრომელი. შესაბამისი მიწვევის გარეშე, არავის აქვს უფლება, დაესწროს სარედაქციო საბჭოს სხდომას, რედაქტორების/საბჭოს წევრების გარდა.

3.9.3. ტექნიკური განვითარების საბჭო უზრუნველყოფს მაუწყებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერიოდულ შეფასებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავებით, იკვლევს ტექნიკურ ხარვეზებსა და განსაზღვრავს მისი აღმოფხვრისთვის აუცილებელ მოქმედებებს, პრიორიტეტებთან შესაბამისობაში ადგენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ოპტიმალურ გზებს, რეკომენდაციებს აწვდის დირექტორს. ტექნიკური განვითარების საბჭოს სხდომა იმართება არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. ტექნიკური განვითარების საბჭო უფლებამოსილია, განსახილველი საკითხის შესაბამისად, სხდომაზე მიიწვიოს მაუწყებლის ნებისმიერი თანამშრომელი.

3.9.4. აუდიტორიის განვითარების საბჭო, აუდიტორიასთან მუშაობის გაუმჯობესების, სატელევიზიო და რადიო არხების, ასევე, ვებმაუწყებლობის მიმართ ლოიალური აუდიტორიის გაზრდის მიზნით, უზრუნველყოფს ბრენდირების, პრომოუშენისა და სარეკლამო პოლიტიკის მართვას, გეგმავს მაუწყებლის სამივე პლატფორმის რეკლამირებას, ხელმისაწვდომი ტექნიკური და ფინანსური რესურსების ოპტიმალურად განკარგვის გზით, მაუწყებლის საჭიროებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს ფოკუს-ჯგუფების ჩამოყალიბებას, სოციალური კვლევების ჩატარებას, აკეთებს ფოკუს-ჯგუფების მუშაობისა და სოციალური კვლევების შედეგების და აუდიტორიის ინტერესების ანალიზს, ეცნობა სატელევიზიო, რადიოარხისა და ვებმაუწყებლობის, ასევე, ცალკეული პროგრამების რეიტინგს და სახავს სამოქმედო გეგმას რეიტინგის გასაუმჯობესებლად, იკვლევს ტელევიზიისა და რადიოს პროგრამული ბადისა და ვებპლატფორმის ნაკლოვანებებს და განსაზღვრავს მისი აღმოფხვრისთვის საჭირო მოქმედებებს, შეფასებას აძლევს სატელევიზიო და რადიოეთერში განსათავსებელი ტელე-რადიო პროდუქციის ხარისხს, პრიორიტეტებთან მის შესაბამისობას და გეგმავს ამ მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესების გზებს, განსაზღვრავს მასობრივი ღონისძიებების გადაღებისა და ეთერში განთავსების საჭიროებებს, რეკომენდაციებს აწვდის დირექტორს. აუდიტორიის განვითარების საბჭოს სხდომა იმართება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ. აუდიტორიის განვითარების საბჭო უფლებამოსილია, განსახილველი საკითხის შესაბამისად, სხდომაზე მიიწვიოს დირექტორი, ასევე, მაუწყებლის ნებისმიერი თანამშრომელი.

3.10.სტრუქტურული ერთეულებისა და კოლეგიური ორგანოების დებულებები

სტრუქტურული ერთეულებისა და კოლეგიური ორგანოების მიზნები და საქმიანობის საგანი დამატებით, შესაძლოა, განისაზღვროს მათი დებულებებით, რომლებსაც ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.